UDC 001
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-4-48-62

მაქს ვებერის „მეცნიერება, როგორც მოწოდება და პროფესია“ და განათლების მენეჯმენტის ზოგიერთი საკითხი

მერაბ მიქელაშვილი ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: m.mikelashvili@gtu.ge

რეცენზენტები:

ი. ჩიკვილაძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: n.chikviladze@gtu.ge

ი. იაშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: i.iashvili@gtu.ge

ანოტაცია. სტატიაში გაანალიზებულია მაქს ვებერის ნაშრომი „მეცნიერება, როგორც მოწოდება და პროფესია“, რომელიც დღესაც აქტუალურია არა მხოლოდ იმის გამო, რომ მასში, ფაქტობრივად, განხილულია მეცნიერული შემეცნებისა და სამეცნიერო თანამეგობრობის ორგანიზაციის სოციალური დინამიკა. ამ ნაშრომის მნიშვნელობა ისაა, რომ გვაბრუნებს მეცნიერული ცოდნის მემკვიდრეობასთან და მეცნიერებაში პროგრესის პრობლემასთან. როცა ვებერი მსჯელობს მეცნიერებაზე, როგორც მოწოდებასა და პროფესიაზე, ის ფაქტობრივად აყენებს საკითხს მეცნიერების კულტურულ-ისტორიული არსის შესახებ, როგორც მთლიან ფენომენზე, ცდილობს იმის ჩვენებას, რომ მეცნიერის შინაგან მოტივატორად ყოველთვის გვევლინება პროფესიული მოწოდება. ცალსახაა, რომ ვებერის მიერ ჩამოყალიბებულ მეცნიერის იდეალურ ტიპზე მოთხოვნილება დღემდე არ კარგავს აქტუალობას. თითქმის ასწლეულის შემდეგ მ. ვებერის მემკვიდრეობასთან მიბრუნება საშუალებას გვაძლევს, ახლებურად გავიაზროთ ის საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ინტელექტუალურ ყოფასთან, ახალი სოციოკულტურული რეალობის გათვალისწინებით. ყოველივე ამის ფონზე, სრულიად ახლებურადაა გასააზრებელი განათლების მენეჯმენტის ზოგიერთი საკითხი, რომელიც მომავალი მეცნიერის მომზადებასთანაა დაკავშირებუ-

ლი, მათ შორის საგანმანათლებლო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ცოდნის ფართოდ დანერგვის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ვებერი; მეცნიერება; მოწოდება; პროფესია.

შესავალი

მაქს ვებერი XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. მის ბრწყინვალე აზროვნებას გამორჩეული ადგილი უჭირავს სოციალურ-ჰუმანიტარული ცოდნის სფეროში. სოციოლოგია, ფილოსოფია, პოლიტეკონომია, სამართალი და მათი ინტერდისციპლინური ერთობა ვებერის სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენდა.

ასეთი მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობა არა მხოლოდ მდიდარ თეორიულ საფუძვლებს ქმნიდა, არამედ აყალიბებდა წარმოდგენებს მეცნიერების როლისა და მეცნიერის მოწოდების შესახებ. სწორედ ეს საკითხები ჩამოაყალიბა მ. ვებერმა 1918 წელს მიუნხენის უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე სიტყვით გამოსვლისას. ეს თავისი არსით საკუთარი კოლეგებისა და სტუდენტების მიმართ ხმამაღლა გაჟღერებული ანდერძი იყო. ცნობილია, თუ როგორი რუდუნებით ასრულებდა იგი თავის საუნივერსიტეტო მისიას, როგორ აღაფრთოვანებდნენ მას საკუთარი სტუდენტები, როგორი კრძალვით ეპყრობოდა იგი თავის კოლეგა მეცნიერებს.

მ. ვებერი, რა თქმა უნდა, არ იყო ერთადერთი, ვინც ფიქრობდა მეცნიერებაზე როგორც მოწოდებაზე. ეს თემა მის მრავალ თანამედროვეს აღელვებდა – იასპერსი, აინშტაინი, ორტეგა-ი-გასეტი. მაგრამ სწორედ მ. ვებერის საპროგრამო სიტყვამ გამოავლინა ყველაზე ნათლად და კონცენტრირებული ფორმით სამეცნიერო ცოდნის შეცვლილი როლი და სუსტი წერტილები საუკუნეების მიჯნაზე – მაშინ, როცა მეცნიერება საზოგადოების სულიერი ცხოვრების სფეროდან გარდაიქმნა, სულიერი წარმოების სფეროდ, რაც გავლენას ახდენდა მისი სოციალური როლის შეცვლაზე და, შესაბამისად, მეცნიერის სოციალურ სტატუსზე.

მ. ვებერის ცნობილი ლექციის „მეცნიერება, როგორც მოწოდება და პროფესია“ ძირითადი პოსტულატების დღევანდელობის კონტექსტში განხილვა მრავალ საინტერესო საკითხზე დაგვაფიქრებს, თუმცა ცალსახაა ის ფაქტი, რომ მ. ვებერის მიერ აღწერილი იდეალური მეცნიერის ტიპი დღეს ისეთივე მოთხოვნადია, როგორც საუკუნის წინ იყო.

თავის გამოსვლაში მაქს ვებერმა დახატა მეცნიერის იდეალური ტიპი, რომელიც თავს მთლიანად თავის საქმიანობას უძღვნის. ასეთი ტიპის ძალა და რწმენა იმაშია, რომ ის იღებს მომავლის გამოწვევებს. ვებერის მიხედვით, ჭეშმარიტი მეცნიერი ხელმძღვანელობს უნივერსალური ღირებულებებით. ის უსმენს „საკუთარ დემონს“, ესე იგი შინაგან ძახილს, ხმას. იმავდროულად ის უსმენს დროს, „დღეის მოთხოვნებს“. ასეთი ორგვარი მოთხოვნა ეთანადება თვით ვებერსაც, რომელიც, ერთი მხრივ, განასახიერებს გერმანულ ინტელექტუალურ ტრადიციას, ხოლო მეორე მხრივ, წარმოგვიდგება როგორც სოციოლოგი, რომლის კონცეპტუალური შეხედულებები ინარჩუნებს მნიშვნელობას სოციალური ჩარჩოს გარეთ

ძირითადი ნაწილი

მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში მეცნიერება აგრძელებდა პროფესიონალიზაციის გზას და, შედეგად, გადაიქცა ძლიერ სოციალურ ინსტიტუტად. ჩვენ უკვე ნათლად ვხედავთ, რომ „პროფესია“ და „მოწოდება“ სულ უფრო და უფრო განსხვავდება ერთმანეთისგან. დღეს შეგვიძლია დავსვათ კითხვა: რა არის უფრო მნიშვნელოვანი თანამედროვე მეცნიერებისთვის? იყოს „პროფესია“ თუ „მოწოდება“? აშკარად ჩანს, რომ ვებერი მკაცრად აშორებს ერთმანეთს მეცნიერების ამ ორ ჰიპოსტასს, უყურებს რა მის გარშემო არსებულ ისტორიულ რეალობას: „მეცნიერება გადავიდა სპეციალიზაციის ისეთ ეტაპზე, რომელიც აქამდე არ იყო ცნობილი და... ეს ვითარება გაგრძელდება მომავალში“ [1]. ვებერის მოხსენების კითხვისას, ჩვენ ვხედავთ, რომ მას ეგრეთ წოდებული რეგულატორის როლში ევლინება მეცნიერება, როგორც ერთი მთლიანი და განუყოფელი კულტურული და ისტორიული ფენომენი, რომელშიც მოწოდება და პროფესია მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. ამ ფენომენს შეიძლება ეწოდოს „პროფესიული მოწოდებაც“, რომელიც არსებობს თანამედროვე სამეცნიერო საზოგადოებაში და, რა თქმა უნდა, ვებერის დროსაც შეიძლება მოიძებნოს.

ვებერი დაბეჯითებით აცხადებს, როგორც „გარდაუვალ მოცემულობას“, მაგრამ არა როგორც იდეალს, რომლისკენაც უნდა მივისწრაფოდეთ, რომ „დღეს მეცნიერება არის პროფესია, რომელსაც ახორციელებენ როგორც სპეციალურ დისციპლინას; ის ემსახურება თვითშეგნებასა და ფაქტობრივი კავშირების შემეცნებას. მეცნიერება არ არის წინასწარმეტყველთა განსაკუთრებული ნიჭი, რომელსაც ხსნა და გულწრფელობა მოაქვს; ის არც ბრძენთა და ფილოსოფოსთა სამყაროს არსის შესახებ განსჯის აუცილებელი ნაწილია“ [1].

ვებერი, როგორც სოციოლოგი, ცდილობდა არა მხოლოდ აღეწერა თანამედროვე მეცნიერების რეალური მდგომარეობა, არამედ გამოევლინა მისი განსაკუთრებული მოძრაობის მიზეზები პროფესიონალიზაციის გზაზე. საუბარია იმაზე, თუ როგორ თანხვედრაშია რეალიზებული „შესაძლებელი“ (ანუ პროფესიონალიზაცია) უნივერსალის „აუცილებლობასთან“ („პროფესიის“ და „მოწოდების“ მთლიანობასთან) პროცესებში, რომლებიც ცვლის თანამედროვე მეცნიერებას. სხვადასხვა დროს სხვადასხვა გარე რეგულატორი მოქმედებდა როგორც აუცილებელი უნივერსალი მეცნიერისთვის: „მეცნიერება წარმოადგენდა „გზას ჭეშმარიტი ყოფისკენ“, „გზას ჭეშმარიტი ხელოვნებისკენ“, „გზას ჭეშმარიტი ბუნებისკენ“, „გზას ჭეშმარიტი ღმერთისკენ“, „გზას ჭეშმარიტი ბედნიერებისკენ“ [1]. ის გვიჩვენებს, რომ გასული ეპოქის მეცნიერებისგან განსხვავებით, რომლებიც ცდილობდნენ გამოეყენებინათ თავიანთი კვლევები სამყაროს მნიშვნელობის ან ღვთაებრივი შემოქმედების მნიშვნელობის ასახსნელად, მეოცე საუკუნის დასაწყისში მეცნიერებამ უარი თქვა ასეთ ძიებებზე. ამიტომ ვებერი სტუდენტებს მიმართავს შიგა რეგულირების აუცილებლობაზე. „თუ ჩვენ გვესმის საკუთარი საქმის, ჩვენ შეგვიძლია ვაიძულოთ ინდივიდი – ან დავეხმაროთ მას – განჭვრიტოს საკუთარი ქმედებების საბოლოო არსი“ [1]. ვებერი ამას განიხილავს შემდეგნაირად: „კი, მეცნიერება ამ პირობებში იმას, რომ იქცეს ვინმეს „მოწოდებად“, და აქვს თუ არა მას რაიმე

ობიექტურად ღირებული „მოწოდება“ – კვლავაც ღირებულებითი მტკიცებაა, რომლის განხილვაც აუდიტორიაში შესაძლებელია, რადგანაც დადებითი პასუხი მასზე არის აუდიტორიაში მეცნიერების წინაპირობა. პირადად მე გავეცი ამ კითხვას დადებითი პასუხი საკუთარი მუშაობით და დადებითი პასუხი მასზე არის ასევე წინაპირობა იმ თვალსაზრისისა, რომელსაც იზიარებს ან ქმნის ილუზიას, რომ იზიარებს. ახალგაზრდობას სძულს ინტელექტუალიზმი, როგორც ეშმაკი. და აქ მართებულია სიტყვები: „ეშმაკი მოხუცია – დაბერდით, რათა მას გაუგოთ“. ეს შეწინააღმდეგება უნდა გაიგოთ არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ გსურთ რა გაუსწორდეთ ეშმაკს, არ უნდა გაიქცეთ მის დანახვაზე, როგორც ამას ხშირად აკეთებენ, არამედ გადახედოთ მის მიერ განვლილ გზას და დაინახოთ მისი ძალა და საზღვრები“ [1]. „მისი გზის გადახედვა“ ნიშნავს ისტორიაში დაბრუნებას, ე.ი. იმ ობიექტური შესაძლებლობების გააზრებას, რომლებიც მასში რჩება და შესაძლოა დღეს აუცილებლობად იქცეს. ვებერის აზროვნების ლოგიკის მიხედვით, მომავლის მეცნიერებამ შესაძლოა აირჩიოს განვითარების სხვა გზა, ვიდრე აუცილებლად გაჰყვეს პრაგმატულად ორიენტირებული პროფესიონალიზაციის გზას.

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, როდესაც კაცობრიობა ეგრეთ წოდებული პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფაზაში შევიდა, მეცნიერებამ და ტექნოლოგიამ მნიშვნელოვნად გააძლიერა თავიანთი პოზიცია საზოგადოებაში. დღეს განვითარებული ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური სტრუქტურა მთლიანად დამოკიდებულია სამეცნიერო და ტექნოლოგიურ ცოდნაზე. ფაქტია, რომ საზოგადოების პოზიცია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ფარგლებში კიდევ უფრო გამყარდა. არა მხოლოდ მეცნიერება და ტექნოლოგია ინტეგრირდა საზოგადოებაში, არამედ საზოგადოება ასევე ინტეგრირებულია მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში. თუ ვებერის დროს შესაძლებელი იყო მეცნიერის შედარებით ავტონომიაზე საუბარი წარმოების, კაპიტალისა და იდეოლოგიების სამყაროში, დღეს გლობალურ ტექნომეცნიერულ საზოგადოებაში ასეთი ავტონომიის პოვნა თითქმის შეუძლებელია.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მჭიდრო კავშირი ინდუსტრიასა და პოლიტიკასთან გამოიხატება მათზე სამთავრობო უწყებებისა და კერძო ბიზნესის გაზრდილ კონტროლში. ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობისათვის ბრძოლაში, როგორც შიდასახელმწიფო, ისე გლობალურ სივრცეში მეცნიერება და ტექნოლოგია დომინირების მიღწევის ინსტრუმენტებად იქცა, ხოლო მეცნიერები ერთგვარ „მენეჯერებად“. ამ პროცესების შედეგად ხდება საბაზრო ურთიერთობების რეპროდუცირება უნივერსიტეტებში: ინტერესთა კონფლიქტი, სამეცნიერო შედეგების პრივატიზაცია, რაოდენობრივი მაჩვენებლების პრიორიტეტი ხარისხობრივზე და ა.შ. ჩვეულებრივი გახდა. და თუ მეცნიერი დღეს, როგორც ვებერი გვირჩევს, უსმენს თავად დროს, „დღის მოთხოვნებს“, მაშინ რას ისმენს და რას ითხოვს მისი შინაგანი ხმა? გავიდა მეცნიერების, როგორც „მოწოდების“ დრო? დადგა ახალი ერა, რომელშიც ადგილი აღარ დარჩა სუფთა მეცნიერული იდეალისთვის?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. სირთულეები წარმოიქმნება, უპირველეს ყოვლისა,

იმიტომ, რომ ეს კითხვები და, შესაბამისად, პასუხები გულისხმობს „სოციალურ“ მეცნიერს, რომელიც შეიარაღებულია გარკვეული თეორიითა და მეთოდოლოგიით, კონცეპტუალური აპარატურითა და დისციპლინური ტექნიკით. ეს კარგად ესმოდა ვებერს, რომელიც თავის ლექციაში საუბრობს არა მხოლოდ მეცნიერებზე, რომლებიც იკვლევენ ბუნებას, არამედ მეცნიერზე, რომელიც იკვლევს საზოგადოებას.

როგორია მეცნიერული მოსაზრება დღევანდელი მეცნიერების ინსტიტუტის შესახებ. ვებერის მიხედვით? თუ გავითვალისწინებთ ვებერის მიერ შემუშავებულ სოციოლოგიის ზოგად თეორიას, პასუხი იქნება შემდეგი: ჩვენ მეცნიერების ინსტიტუტს განვიხილავთ, როგორც სოციალური ცხოვრების სპეციფიკურ ისტორიულ ფორმას (წესრიგს), რომელიც აანალიზებს მეცნიერთა თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას. მეცნიერება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სოციალური ინსტიტუტი, ვებერის მიხედვით გაგებულია როგორც ცხოვრების წესი ან ცხოვრების ფორმა (წესრიგი). სწორედ „თავისი დემონის“ ამ შინაგან ხმას უსმენს მეცნიერი.

მეცნიერებას შეუძლია გადაამოწმოს საშუალებების შესაბამისობა ჩვენ მიერ დასახულ მიზანთან. მას შეუძლია გაარკვიოს ურთიერთობები ღირებულებათა სისტემებს შორის და აჩვენოს მიღებული გადაწყვეტილებების შედეგები. მეცნიერებას შეუძლია დაახასიათოს საქმეების პრაქტიკული მდგომარეობა, რომელთაც ანგარიში უნდა გავუწიოთ. მას ასევე შეუძლია გააკრიტიკოს დასახული მიზნები ისტორიული სიტუაციიდან გამომდინარე. მაგრამ მას არ შეუძლია მიგვითითოს როგორ უნდა მოვიქცეთ, რა უნდა გავაკეთოთ და ვერ გაგვათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ჩვენს არჩევანზე. არჩევანი ყოველთვის ინდივიდის საქმეა.

მ. ვებერი აფრთხილებს თავის მსმენელს, საუბრობს რა შეფასებითი განსჯის არსებობის შესახებ მათი პროფესორების გამოსვლებში, რომლებიც ბოროტად იყენებენ თავიანთ ადგილს კათედრაზე და საკუთარ მსოფლმხედველობას საყოველთაოდ მართებულად წარმოაჩენენ: „მაგრამ ის ახალგაზრდები, რომლებიც იტყვიან – „ჩვენ დავდივართ ლექციაზე, რათა განვიცადოთ რაღაც უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ ანალიზი და ფაქტების კონსტატაცია“, – შეცდომაში შედიან, როდესაც პროფესორში ცდილობენ არა იმის დანახვას, რასაც ის თავად ხედავს – ხედავენ ბელადს, და არა მასწავლებელს. მაგრამ ჩვენ კათედრაზე წარდგენილები ვართ, მხოლოდ როგორც მასწავლებლები. ეს ორი განსხვავებული რამაა, რაშიც დარწმუნება მარტივია“ [1].

ჭეშმარიტი მასწავლებლის მიზანია, არა მოსწავლისათვის გარკვეული შეხედულებების თავზე მოხვევა, არამედ იმის სწავლება, რომ დასვას შეკითხვები საკუთარი საქმიანობის არსის შესახებ. მაგრამ რა უნდა გახდეს მსოფლმხედველობა, რამ შეიძლება დააკმაყოფილოს მოთხოვნილება, თუ არა რელიგიამ, თუ არა ნაციამ, თუ არა სახელმწიფოსთვის თავგანწირულმა ერთგულებამ? მ. ვებერის პასუხი მარტივია – ყველამ უნდა იპოვოს საკუთარი დემონი და ემსახუროს მას [1]. ამ მოაზროვნეში ჩვენ ვპოულობთ ინდივიდის თვითგამორკვევის უნარის შესაშურ რწმენას, რადგან ის გვთავაზობს რთულ, თუნდაც უკიდურესად რთულ გზას – დამოუკიდებლად განავითაროს ღირებულებითი სისტემები და მსოფლმხედველობა საკუთარ თავში რეფლექ-

სიის მეშვეობით: „კულტურული ეპოქის ბედი, რომელმაც გასინჯა ცოდნის ხის ნაყოფი, არის ის, რომ უნდა გვესმოდეს, სამყაროს მნიშვნელობა არ ვლინდება კვლევით, რაც უნდა სრულყოფილი იყოს ის, ჩვენ თვითონ მოგვიწოდებენ შევქმნათ ეს არსი, მსოფლმხედველობას არასოდეს არ შეუძლია იყოს ექსპერიმენტული ცოდნის განვითარების პროდუქტი და, შესაბამისად, უმაღლესი იდეალები, რომლებიც ყველაზე მეტად გვაწუხებს, ყოველთვის გამოიხატება მხოლოდ სხვა იდეალებთან ბრძოლაში, რომლებიც ისეთივე წმინდაა სხვებისთვის, როგორც ჩვენთვის“ [1].

ვებერის ეს პოზიცია, რომლის მიხედვითაც ინდივიდის არჩევანი უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი ღირებულებითი პოზიციით, შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს ვინმეს, ვისაც არ ესმის, რა „ფილოსოფია“ დგას ასეთი განცხადების უკან. ეს არის ვებერისთვის მისაღები ერთადერთი მეტაფიზიკა - ღმერთების ბრძოლა: „საკუთარ თავზე დაფუძნებულმა და საკუთარი თავითვე გასაგებმა ცხოვრებამ იცის მხოლოდ ღმერთების მარადიული ბრძოლა, იცის მხოლოდ მეტად პრინციპული, უფრო მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული პოზიციების შეუსაბამობა და მათი მოურიგებლობა, შესაბამისად, მათ შორის არჩევანის გაკეთების აუცილებლობაც [1].

მ. ვებერისთვის ღმერთების ბრძოლა, როგორც რეალობის ობიექტური ხედვა, ზუსტად ნიშნავს ღირებულებითი პოზიციების ბრძოლას აბსოლუტის არარსებობის პირობებში. თავის მხრივ, ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ მეცნიერებისგან გარკვევას „მიზნების მისაღწევი საშუალებების“ ურთიერთობის შესახებ, რაც გავლენას მოახდენს ინდივიდის დამოკიდებულებაზე პრაქტიკული ქმედებების მიმართ. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია ვებერის ფილოსოფიური პოზიციის გასაგებად – ის არასდროს ყოფილა მორალში რელატივისტი და რელატივიზმს შინაგან წინააღმდეგობად თვლიდა: ის არასდროს იყენებს გამოთქმას „სხვადასხვა ღირებულებითი პოზიციის არსებობა“, მაგრამ ყოველთვის იყენებს „ღირებულებითი პოზიციების ბრძოლას“.

თვით ვებერის განმარტება მეცნიერების შესახებ – „მეცნიერება არის პროფესია, რომელიც ხორციელდება, როგორც სპეციალური დისციპლინა და ემსახურება თვითშემეცნებას და ფაქტობრივი კავშირების ცოდნას“ – არ გახდა საყოველთაოდ მიღებული. სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, ვებერის სიცოცხლეშივე, გამოვა ო. შპენგლერის წიგნი „ევროპის დაისი“, რომელშიც ფაქტობრივი კავშირები იქნება გადაჯაჭვული ავტორის პირად შეხედულებებთან და წინასწარმეტყველურად მიმართავს დროის სულისკვეთებას სპეკულაციური ფილოსოფიის სახით, რომელიც წარმოგვიდგება მეცნიერებად.

ვებერისგან უნდა ვისწავლოთ ინტელექტუალური პატიოსნება, გამბედაობა, დღევანდელი დღის რეალობის აღიარების სიმამაცე. ჩვენ უნდა შეგვეძლოს გავანადგუროთ ილუზიები, რომლებიც დომინირებს ჩვენს დროში. ვებერმა ჩამოაყალიბა მუდმივად აქტუალური მოთხოვნა მეცნიერის მიმართ, მეცნიერების, როგორც მოწოდებისა და პროფესიის ადეპტის, რომელსაც ყოველ დროში აქვს აზრი.

დღეს მეცნიერება უნდა იყოს პროფესია და მოწოდება იმ მკაცრი გაგებით, რაც მას ვებერმა მისცა – მან უნდა გაიაზროს საშუალებები, განახორციელოს რეფლექსია და განმარტოს თანამედროვე საზოგადოების მიზნები. რა მიზნები და საშუალე-

ბები უნდა გამოკვეთოს და გაიგოს თანამედროვე მეცნიერებამ? მან უნდა დაადგინოს ახალი ცხოვრების წესის შედეგები. რა შედეგი მოჰყვება დამოკიდებულებას, რომ ცხოვრების აზრი ტექნიკური სიახლეების მუდმივ მოხმარებაშია? რას იწვევს საჭიროებების პრიმიტივიზაცია? რა ცვლილებებს გამოიწვევს სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში სულ უფრო პოპულარული სლოგანი „გამოიყენე, მაგრამ არ ფლობდე!“? როგორ მოქმედებს ეკონომიკური ომები და გეოპოლიტიკური დაპირისპირებები კონკრეტული ადამიანების მსოფლმხედველობაზე? როგორ იმოქმედებს თანამედროვე ცხოვრების წესი ადამიანის მომავალ სახეზე? განა რეალურად არ გამოიწვევს „ეკრანით მოჯადოება“ ახალი ადამიანის გაჩენას, ადამიანობას მოკლებული, დეჰუმანიზებული, დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის არმქონე, თავისუფლებას მოკლებულის? მზად ვართ მივიღოთ გარდაუვალი მომავალი, რომელსაც ვქმნით აწმყოში? დღეს ადამიანის მეტაფიზიკური მოთხოვნილება, მნიშვნელობისა და ჭეშმარიტების ძიება კმაყოფილდება ინტერნეტ-რესურსების მუდმივად ცვალებადი შინაარსით, რაც, ერთის მხრივ, გვავიწყებს საკუთარ თავს და, მეორე მხრივ, განსაზღვრავს ჩვენს ღირებულებათა სისტემას, და თუ რელიგია და ფილოსოფია, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის უმაღლეს ეგზისტენციალურ მოთხოვნილებებს, ორიენტირებდა მას ზნეობრივი ქცევისკენ, მაშინ რა ნორმების შემუშავება შეუძლია თანამედროვე „მედიაცნობიერებას“?

ჩნდება კითხვა: როგორ დავაკავშიროთ ეს ტენდენციები მ. ვებერის თეზისთან, რომ „ადამიანს შეუძლია შექმნას რაიმე სრული მეცნიერების სფეროში მხოლოდ ყველაზე მკაცრი სპეციალიზაციის პირობებში... მხოლოდ მკაცრი სპეციალიზაციის წყალობით შეუძლია მეცნიერებაში მომუშავე ადამიანს წარმატების მიღწევა. შესაძლოა, მას ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ჰქონდეს შესაძლებლობა მთელი სისავსით იგრძნოს, რომ მიაღწია ისეთ გამორჩეულ წარმატებას, რაც დიდხანს დარჩება“ [1]? მეცნიერების ლოგიკამ განაპირობა მისი დივერსიფიკაცია. თუ არ გავითვალისწინებთ მეცნიერთა ცალკეულ ნათელ სახელებს, რომლებიც ფლობდნენ მრავალფეროვან ცოდნას (რომელთაც, რა თქმა უნდა, ვებერიც ეკუთვნის), მაშინ უნდა ითქვას, რომ ენციკლოპედიურობის ეპოქა წარსულს ჩაბარდა. დადგა დრო სპეციალიზაციისა და „ვიწრო სპეციალისტების“, ყველასთვის მაშინვე არ გახდა ნათელი, რომ სწორედ მათ მიიყვანეს ბუნებრივი და სოციალური სამყარო თანამედროვე, საგანგაშო მდგომარეობამდე. სწორედ ისინი იყვნენ, რომ შედეგებზე ფიქრის გარეშე, ფანატიკურად მუშაობდნენ, მეცნიერებაში რაციონალიზაციას უწევდნენ თავიანთ საქმიანობას, მიჰყავდათ ისინი გამოყენებითი კვლევის დონეზე, აძლევდნენ საშუალებას მიეღოთ სუპერმოგება. ამრიგად, „მეცნიერული აქტივობის რაციონალურობის გადაჭარბებული აქცენტი იყო დაუსრულებელი დაგროვების ირაციონალურობის ნიღაბი“, მეცნიერების მკაცრ სპეციალიზაციას მოჰყვა უაღრესად ვიწროსპეციალიზებული განათლება, არასავალდებულო კულტურული კომპონენტით და მზარდი მოთხოვნებით სტუდენტების სპეციფიკური ცოდნის მიმართ. ამ დამოკიდებულებამ მნიშვნელოვანი ხარვეზი წარმოშვა განათლების სისტე-

მაში პიროვნების სოციოკულტურული რეპროდუქციის მიზანმიმართულ პროცესში.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ მ. ვებერი, რომელსაც ჰქონდა ერთგვარი ალღო, ჯერ კიდევ ასი წლის წინ ხედავდა ამ ტენდენციას: „ჩვენი ეპოქის ბედი თავისი დამახასიათებელი რაციონალიზაციითა და ინტელექტუალიზაციით და, უპირველეს ყოვლისა, სამყაროს იმედგაცრუებით, ისაა, რომ უმაღლესმა კეთილშობილურმა ფასეულობებმა დატოვეს საზოგადოებრივი სფერო ან მისტიკური ცხოვრების სამყარო, ან პიროვნებების ერთმანეთთან უშუალო ურთიერთობების ძმური სიახლოვე“ [1].

როგორც ბურდიე წერდა „Homo Academicus“-ში, საუნივერსიტეტო სფერო არის ბრძოლის ადგილი ლეგიტიმური იერარქიის ლეგიტიმური წევრობის პირობებისა და კრიტერიუმების დასადგენად, ე.ი. იმის დასადგენად, თუ რომელ თვისებებს შეუძლია სათანადოდ, ეფექტურად და ლეგალურად შეასრულოს კაპიტალის ფუნქციები, რაც მოიტანს ამ სფეროში გარანტირებულ და განსაკუთრებულ სარგებელს [7].

ბურდიე, რომელიც აკავშირებს აკადემიურ სფეროს ძალაუფლების სფეროსთან, რომლის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს განათლების სისტემა, განსაზღვრავს აკადემიური საზოგადოების წევრების მფლობელობაში არსებული კაპიტალის ორ ტიპს. ეს არის სოციალური კაპიტალი, რომელიც გროვდება ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავების შესაძლებლობის გამო, რისი მეოხებითაც კონტროლდება საგანმანათლებლო პროცესი და ინტელექტუალური კაპიტალი: ამ კაპიტალის მფლობელებს აქვთ გარკვეული ძალა, რომლის წყაროა ინტელექტუალური ავტორიტეტი და ცნობადობა კონკრეტულ სფეროში. მეცნიერების სტრუქტურას, მისი მდგენელი ელემენტების მთელი მრავალფეროვნებით, აქვს გარკვეული ხიბლი, რაც ხდება ცხოვრების აზრი და ფორმა მრავალი ადამიანისთვის, რომლებსაც აქვთ სურვილი დაუკავშირონ საკუთარი ცხოვრება მეცნიერებას, როგორც პროფესიას და მოწოდებას. დღეს ახალი თაობები მოდიან მეცნიერებაში, ახალი ჩვევებითა და ცხოვრების წესით. იცვლება თუ არა მეცნიერის შინაგანი არსი? რჩება თუ არა ის ვნება, იდეები და სამუშაო, რომელიც ვებერმა დაასახელა მეცნიერის აუცილებელ თვისებად, მათთვის, ვინც მეცნიერების ტაძარში მსახურობს?

ვებერის მოხსენებაში დაფიქსირებულია შეშფოთება იმ ფენომენის გამო, რომელსაც ავტორი მასობრივ ფენომენს უწოდებს და რომლის მიმართაც მას აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ჩვენ ვკითხულობთ: „მეცნიერებაში ის არ არის პიროვნება, რომელიც „გამოდის სცენაზე, როგორც იმ საქმის იმპრესარიო, რომელსაც უნდა მიუძღვნას თავი“, რომელიც ცდილობს დაარწმუნოს ყველა, რომ ის არა მხოლოდ სპეციალისტია, არამედ ამბობს იმას, რაც ჯერ არავის უთქვამს. ეს ამცირებს და ამცრობს მას, ვინც ასე იქცევა. ასეთ ადამიანს არ შეუძლია ამაღლდეს იმ საქმის სიმაღლემდე და ღირსებამდე, რომელსაც უნდა ემსახუროს“ [1]. რამდენად ეთანხმება ეს თანამედროვე მოთხოვნებს დისერტაციებისა და სამეცნიერო მოხსენებების ტექსტებში მეცნიერული სიახლეების თვითშეფასების შესახებ? ციტირების ინდექსის სტრატეგიას, რაც გახდა მეცნიერის პროდუქტიულობის პრაქტიკულად ერთადერთი კრიტერიუმი? მ. ვებერის ზემოთ მოტანილი აზრი უნებურად გვაიძულებს მივმართოთ

საკითხს მომავალი მეცნიერების მომზადების საქმეში არსებული მდგომარეობის შესახებ.

რა ღირებულებებს გამოხატავენ ისინი, ვინც აყალიბებენ მეცნიერების მომავალს? უნდა ითქვას, რომ ეს არ არის სპეკულაციური კითხვა, არ არის სოციალური მეცნიერების აბსტრაქტული ობიექტი. პროფესორები და კურსდამთავრებულები მიეკუთვნებიან სხვადასხვა თაობას, რომლებიც ჩამოყალიბდნენ როგორც მკვლევრები სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ და იდეურ-პოლიტიკურ პირობებში გაგების შესაძლო სირთულეები მეცნიერების სფეროში შესვლის სხვადასხვა მიზეზსა და მოტივშია. როგორ შეიძლება შენარჩუნდეს უწყვეტობა? როგორ მოვახდინოთ სამეცნიერო სკოლის კვლავწარმოება? სად ვიპოვოთ თაობებს შორის დამაკავშირებელი ძაფები?

მეცნიერების მომავალს განსაზღვრავენ 2000-2005 წლებში დაბადებული თაობის წარმომადგენლები, რომლებმაც პროფესიად მეცნიერება აირჩიეს. რა ახასიათებთ ახალგაზრდებს, რომლებიც ინფორმაციულ ეპოქაში გაიზარდნენ? დღევანდელი „ბავშვები“ სწრაფად იგებენ ინფორმაციას, მაგრამ ვერ კითხულობენ გრძელ ტექსტებს. ისინი ორიენტირებულნი არიან ლაკონურობაზე, მათი ყურადღება არასტაბილურია, კომუნიკაციის მეთოდები მრავალფეროვანია, მაგრამ ზედაპირული. როგორც წესი, მათ აქვთ ცუდად განვითარებული კრიტიკული აზროვნება და მდარე ლექსიკა. იმავდროულად, მეცნიერებში ყოფნა ვერ ითმენს აურზაურს, მყისიერი შედეგების მოლოდინს, ის მოითხოვს სიღრმესა და მოთმინებას, ფრაგმენტების მთლიანობაში ანალიზისა და აწყობის უნარს და ბოლოს, კონტექსტსა და სტრატეგიულ აზროვნებაში ჩაძირვას. შეუძლია თუ არა არსებულ განათლების მოდელს იმ პიროვნული მახასიათებლების კომპენსირება, რომლებიც აკლია სამეცნიერო კვლევებს? და რა მიმართულებით უნდა ვიმოქმედოთ? ჩვენი ღრმა რწმენით, დოქტორანტებისთვის მ. ვებერის შემოქმედების გაცნობა მისი შემდგომი განხილვით, უდავოდ დადებით როლს შეასრულებს ახალგაზრდა მეცნიერების თვითაქტუალიზაციის პროცესებში.

დოქტორანტურა განიხილება, როგორც საუნივერსიტეტო განათლების გაგრძელება, როგორც მესამე ეტაპი. დოქტორანტები თავს სტუდენტებად აღიქვამენ, შესაბამისად, თავს ვერ აღწევენ „მოსწავლის“ სინდრომს. თუმცა, დოქტორანტურის ფენომენი უნიკალურია, რადგან ის ხსნის სამეცნიერო საზოგადოების ტერიტორიაზე შესვლის და აქტიური კომუნიკაციის შესაძლებლობას. ეს დიდწილად განსაზღვრავს დოქტორანტურის ფუნქციებს შორის მის დომინანტურ როლს: მეცნიერების სამყაროს გახსნა დოქტორანტებისათვის, მათი დისკუსიისა და კრიტიკული აზროვნების ხელოვნებასთან ზიარება, ოპონენტების პატივისცემის გამომუშავება, აზროვნების თავისუფლებისა და თავდაჯერებულობის ფორმირება. მაგრამ დოქტორანტურა ვერ აქცევს კურსდამთავრებულს მეცნიერად. ის მხოლოდ მეცნიერული კვლევის კულტურის დაუფლების შესაბამის ინსტრუმენტებს იძლევა.

მაგისტრატურის ზოგიერთი კურსდამთავრებული მოდის დოქტორანტურაში არააკადემიური მიზნით და ეს არის დოქტორანტების შერჩევის დროს დაშვებული შეცდომები. ამ პრობლემის მინი-

მიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერებაში სტუდენტური სკამიდან ადრეული ჩართულობით და კიდევ უფრო საიმედო – ზოგადი განათლების სისტემაში მეცნიერის, როგორც პროფესიის გაცნობიერებით.

სამეცნიერო ხელმძღვანელობა საკვანძო პრობლემად და დაბრკოლებად იქცა. ამის მიზეზია პროფესორების გადატვირთულობა, სამეცნიერო ხელმძღვანელობის წახალისების სისტემის არარსებობა და სხვა. გარდა ამისა, აკადემიურ პერსონალს, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება, ყოველთვის არ შეუძლია სხვების ხელმძღვანელობა. ეს მოითხოვს მასტერკლასების ფორმატში ურთიერთქმედების სპეციალურ უნარებს, ფსიქოლოგიის ცოდნას, სამეცნიერო სწავლების მეთოდოლოგიურ უნარებს და, რაც მთავარია, მეცნიერული მემკვიდრეების მომზადების ინტერესს. ეჭვგარეშეა, რომ თანამედროვე პირობებში აუცილებელია დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების მომზადების სპეციალური პროგრამის ფორმირება და პრაქტიკული განხორციელება.

საკადრო პოტენციალის განვითარება და სამეცნიერო კადრების რეპროდუქცია ნებისმიერი უნივერსიტეტის თუ სამეცნიერო ორგანიზაციის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სწორედ ამ ამოცანის წინაშე უნდა დადგეს, უპირველეს ყოვლისა, დოქტორანტურა, როგორც დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის უნარის მქონე სპეციალისტების მომზადების ინსტიტუტი. იმავდროულად, ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების სფეროში არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მეცნიერის, როგორც პროფესიის პრესტიჟის დაქვეითების პრობლემა, როდესაც აკადემიური ხარისხის მიღება აღიქმება არა როგორც მეცნიერული ზრდის ნაბიჯი, არამედ როგორც რაიმე სახის სასარგებლო სტატუსის მოპოვება, რომელიც შეიძლება იყოს „სასარგებლო“ კარიერისთვის, რომელიც შორს არის მეცნიერებისგან.

ამ და სხვა ბევრმა ფაქტმა განაპირობა ის, რომ შემთხვევითი ადამიანები, რომლებიც შორს არიან მეცნიერებისგან და არ აქვთ სათანადო მოტივაცია, ხშირად ირიცხებიან დოქტორანტურაში, შემდეგ კი სწავლას დოქტორანტურის დამთავრების გარეშე ტოვებენ. ამან არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს როგორც პედაგოგიური ურთიერთქმედების ბუნებაზე, ისე კურსდამთავრებულთა მომზადების ხარისხზე. კურსდამთავრებულთა პრობლემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია აკადემიურ პერსონალში აუცილებელი ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ცოდნისა და უნარების ნაკლებობა. ეს არის სიტუაცია, როდესაც ავტორიტეტულ მეცნიერს არ შეუძლია პედაგოგიური პროცესის საკმარისად ეფექტურად ორგანიზება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩაძირულია თავის პროფესიულ საქმიანობაში, არ აქვს შესაძლებლობა შეიძინოს დამატებითი ცოდნა და უნარები ფსიქოლოგიასა და პედაგოგიურ სფეროში. ანუ ცოდნა, რომელიც, როგორც ჩანს, პირდაპირ არ არის დაკავშირებული მის პროფესიასთან.

ეს ყველაფერი საშუალებას გვაძლევს დავსვათ თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების სადოქტორო საფეხურის განვითარებაში გამოკვეთილი ორი აქტუალური საკითხი:

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური

პერსონალისთვის საჭირო ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ცოდნის მიღება;

- დოქტორანტურის სასწავლო პროგრამებში ფსიქოლოგიური და პედაგოგიური დისციპლინების საჭიროება.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისთვის საჭირო ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ცოდნის მიღების შესაძლებლობა შეიძლება მოეწყოს როგორც გადამზადების პროგრამების ფარგლებში, ისე მოკლევადიანი პროფესიული განვითარების პროგრამებით. უფრო მეტიც, ეს არის მოკლევადიანი პროგრამები, რომლებიც ნაკლებად ფორმალიზებულია და შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი აკადემიური პერსონალის ეფექტურობის გაზრდისთვის.

ასეთი პროგრამები შეიძლება აგებული იყოს ფსიქოლოგიური ჯგუფების მუშაობის პრინციპებზე. კერძოდ:

- აუდიტორიის (კურსის მონაწილეთა) მოთხოვნის გათვალისწინებით, სადაც შეიძლება განიხილებოდეს პედაგოგიური მუშაობის სხვადასხვა ასპექტი, ასევე კონკრეტული შემთხვევები, სპეციფიკური სირთულეები და პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან პროფესორები დოქტორანტებთან კომუნიკაციისა და ურთიერთობისას;
- უსაფრთხოების პრინციპების დაცვა (კონფიდენციალურობა, ჩართულობა, არაძალადობრივი კომუნიკაცია, უნიკალურობის უფლების პატივისცემა და ა.შ.);
- გამოცდილების გაცვლა, სადაც განიხილება მსგავსი შემთხვევები, შემოთავაზებულია ინდივიდუალური ინტერპრეტაციები და პრობლემის გადაჭრის გზები. კონკრეტული რთული შემთხვევის გარჩევა და ჯგუფური ანალიზი ზოგჯერ უფრო ეფექტურია, ვიდრე მონოგრაფიაზე მრავალსაათიანი ინდივიდუალური მუშაობა;
- პრობლემის გადაჭრის „ალგორითმის“ დაუფლება კონკრეტული შემთხვევის ანალიზით. კონკრეტული შემთხვევის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ „ინტრიგა“ - სად არის სირთულე, სად წყდება ურთიერთქმედება, როგორ შეიძლება სიტუაციის მოგვარება. ამგვარი, „პრობლემებზე დაფუძნებული“ სწავლა ძალიან თვალსაჩინო და დასამახსოვრებელია და, რაც მთავარია, ის საშუალებას აძლევს პროფესორს, რომელიც კვლევითი პრობლემების გადასაჭრელადაა მომართული, საკუთარი ძალისხმევა პედაგოგიური პრობლემების გადაჭრისკენაც მიმართოს.

ჩვენი აზრით, პროფესიული განვითარების პროგრამა ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის სფეროში ასევე უნდა მოიცავდეს ტრენინგს პროდუქტიული კომუნიკაციის უნარებში, ასევე რიტორიკის ტექნიკის დაუფლებაში, რათა მეტყველება უფრო ნათელი, დამაჯერებელი და ადვილად აღქმადი გახდეს. ასეთი ტექნიკა და ფორმები მორგებული უნდა იყოს არა მხოლოდ სტუდენტის, არამედ პროფესორის ინდივიდუალურ მახასიათებლებზეც, ანუ ორგანული იყოს მისთვის, რადგან მხოლოდ მისი პირადი

პოტენციალის გამოყენებით შეიძლება ძალისხმევა იყოს ჭეშმარიტად ეფექტური.

დოქტორანტებთან მუშაობისას გასათვალისწინებელია მათი ფსიქოლოგიური მახასიათებლებიც.

იდეალურ შემთხვევაში რა უნდა იყოს ზრდასრული ადამიანის მოტივი, რომელიც მოდის დოქტორანტურაში? სტატუსის გაზრდის მოტივი საკმაოდ წონიანია, მაგრამ მეცნიერისთვის ასეთი მოტივი არ არის მთავარი. არც ფულის შოვნაა მთავარი მოტივი, რადგან სხვადასხვა პროფესიაში საკმაოდ დიდი თანხების შოვნის მრავალი გზა არსებობს. ამ საკითხზე სხვადასხვა მეცნიერს სხვადასხვა აზრი აქვს გამოთქმული. მაგალითად, გამოჩენილი უნგრელი ბიოქიმიკოსი ა. სენტ დერდი მეცნიერისთვის მთავარ სტიმულად შემეცნების მოთხოვნილებას და ცნობისმოყვარეობას მიიჩნევდა [4] ცნობილია ა. აინშტაინის აზრი, რომ მეცნიერების კეთება არის „სახელმწიფოს ხარჯზე საკუთარი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალება“.

დოქტორანტის მოტივაციის გაზრდა შესაძლებელი და აუცილებელია. ამისათვის აუცილებელია ვასწავლოთ მას სამეცნიერო კვლევის „ინტრიგის“ დანახვა, ჩამოვუყალიბოთ სისტემური აზროვნების უნარი, ანუ უზრუნველვყოთ კვლევის ჩასატარებლად საჭირო ინსტრუმენტით. კვლევის „ინტრიგის“ გააზრება ავტომატურად ამარტივებს საკვლევი თემის ფორმულირებას, აქტუალობას, მიზნებსა და ამოცანებს, კვლევის სიახლის ჩამოყალიბების საკითხს.

ვინაიდან სამეცნიერო კვლევა მოითხოვს გარკვეულ არასტანდარტულ აზროვნებას, დოქტორანტურის სასწავლო გეგმაში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს კრეატიულობის განვითარების ტრენინგი, რომელიც გულისხმობს შემოქმედების ფსიქოლოგიის საფუძვლების გაცნობას. მსგავსი პროგრამა შეიძლება შემუშავდეს აკადემიური პერსონალისთვის, მაგრამ სტუდენტებთან შემოქმედებითი ურთიერთქმედების შესაძლებლობებზე აქცენტით. აუცილებელი ფსიქოლოგიური და პედაგოგიური უნარების ფლობა შესაძლებელს ხდის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ერთობლივი მუშაობის ოპტიმიზაციას კვლევითი პრობლემების გადაჭრაზე, რომლის დროსაც ხდება მომავალი მეცნიერის ჩამოყალიბება.

შესაქმნელია პროფესიული სტანდარტის პროექტი მეცნიერი მუშაკი (სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობა), რომელიც გაითვალისწინებს მათი შრომითი ფუნქციების ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა მენტორობა, სამეცნიერო ხელძღვანელობა, საგანმანათლებლო სტანდარტების ცოდნა სამეცნიერო სპეციალიზაციის სფეროში, სამეცნიერო შედეგების საგანმანათლებლო სფეროში დანერგვის უნარი, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის საფუძვლების ცოდნა.

მაქს ვებერის აზრით, იდეას მხოლოდ შეუპოვარი შრომა ამწიფებს, თუმცა არის გამონაკლისიც, „მეცნიერული თვალსაზრისით, დილეტანტის იდეას შესაძლებელია ზუსტად ისეთივე, ანდა უფრო დიდი მნიშვნელობაც კი ჰქონდეს, ვიდრე სპეციალისტის აღმოჩენას“ [4].

ამდენად, აქ საუბარია იმგვარი მეცნიერული სიახლის მიგნებაზე, რომელსაც აქვს შემთხვევითი ხასიათი და არ ეფუძნება რაიმე სახის კვლევით მეთოდს, რომლის დახმარებითაც მეცნიერი ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის გარკვეული მოსაზრებების ჩამოყალიბებამდე. ამგვარი შემთხვევები ხაზს უსვამს იმ

ფაქტს, რომ მეცნიერებას შეიძლება სულაც არ ქმნიდნენ მხოლოდ მეცნიერები.

დასკვნა

მ. ვებერის განსჯა მეცნიერებაზე, როგორც პროფესიაზე და მოწოდებაზე საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, რამდენად რთული და არაერთგვაროვანია თანამედროვე მეცნიერება. ამასთანავე, ეს პროგრამული გამოსვლა შეუფასებელია იმის გამოც, რომ მასში ვპოულობთ მთავარ დარიგებას მათთვის, ვინც შეუდგა ჭეშმარიტების ძიების ძნელ გზას და მზადაა ამ გზაზე სიარულისთვის, პასუხისმგებლიანი თანამონაწილის პრინციპების გათვალისწინებით: „მხოლოდ სევდა და მოლოდინი ვერაფერს მოგცემთ, აუცილებელია სხვანაირად მოქმედება – უნდა მიმართოთ თქვენს საქმეს და დააკმაყოფილოთ „დღის მოთხოვნა“ როგორც ადამინურად, ისე პროფესიულად. ეს მოთხოვნა კი იქნება მარტივი და ნათელი, თუ თითოეული იპოვის საკუთარ დემონს და დაემორჩილება მას, რომელიც ქარგავს თავისი ცხოვრების ძაფს“ [1].

ვებერისეული შეხედულება მეცნიერებაზე არა მხოლოდ ინარჩუნებს აქტუალობას, პირიქით, უფრო ამძაფრებს მას, რასაც ადასტურებს ერთი მხრივ პროგრესის არნახული დონე და მეორე მხრივ დღევანდელობის მოულოდნელი მოთხოვნილებები, რაც გარდაუვალს ხდის საოცარ აღმოჩენებს, რომელიც გველოდება ამ გზაზე სიარულისას.

მ. ვებერის მოსაზრებები მეცნიერებაზე არის არა მხოლოდ ინტელექტუალური ისტორიის შესწავლის უნიკალური წყარო, რომლის წყალობითაც შესაძლებელია იმ დროის/ეპოქის მაჯისცემისა და განწყობის გააზრება, ტრაგიზმის შეგრძნება და ამასთან ერთად, ჩვენი დროის იმ ეპოქასთან მსგავსებების გააზრება. ის არის ზნეობრივი შეგონება პასუხისმგებლობაზე, რომლის კეთილშობილური მიზნები იმსახურებს, რომ კიდევ არაერთხელ მივუბრუნდეთ მას.

სულ უფრო ცხადი ხდება, რომ თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების დამოკიდებულება მეცნიერებისადმი, მეცნიერებისა და მეცნიერის პროფესია განიცდის სერიოზულ ცვლილებას. თითქმის საუკუნის გასვლის შემდეგ დიდი მოაზროვნის მემკვიდრეობასთან დაბრუნება საშუალებას იძლევა გავიაზროთ ის პრობლემები, რომელიც განათლების მენეჯმენტში გვხვდება, მომავალი მეცნიერის ფორმირების მიმართულებით. „ჩვენ გვეუბნებიან, რომ მეცნიერების უმაღლესი მიზანია მიანოჭოს ადამიანს რაც შეიძლება მეტი სიამოვნება და რაც შეიძლება ნაკლები უსიამოვნება“ [10].

ჩვენ სამეცნიერო ცივილიზაცია ვართ. ე. ი. ვართ ცივილიზაცია, სადაც ცოდნა და მისი მთლიანობა უკიდურესად მნიშვნელოვანია. მეცნიერება ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ცოდნას. ცოდნა ჩვენი ბედისწერაა. თანამედროვე მეცნიერებას იმაზე მეტი ძალა აქვს, ვიდრე ოდესმე ჰქონია.[11].

კარგი მეცნიერების გარდა, კარგი მოქალაქეებიც გვჭირდება, რომლებიც ყველა ღონეს იხმარენ, რათა ჩვენ ყველამ უკეთესად ვიცხოვროთ. ათწლეულებში მიღებული გადაწყვეტილებები თავად სიცოცხლის მომავალზე მოახდენს გავლენას, ამ გადაწყვეტილებებს კი მხოლოდ ამჟამინდელ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით თუ მივიღებთ. თუ ახლანდელ თაობას კოსმოსის შესახებ ამომწურავი

თვალსაზრისი არ შეექმნება, სიცოცხლის მომავალი ალალბედზე გადაწყდება [12].

დასკვნა კი მოკლედ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ – სანამ ჩვენ ვმსჯელობთ მეცნიერების არსსა და ღირებულებებზე, მეცნიერება რჩება არა მხოლოდ პროფესიად, არამედ მოწოდებადაც.

ლიტერატურა

1. Weber, M., (1990) Izbrannye proizvedeniya [Selected Works], trans. by Yu.. DavydovMoscow: Progress, 808 pp. (In Russian).
2. Tribe K. & Weber's M., (2018), Science as a Vocation: Context, Genesis, Structure // Sociologica.. Vol. 12, № 1. P. 125–136.
3. Weber, A., (1998), collect: Krizis evropeiskoi kultury [Crisis of European Culture. Selected Works], trans. by M. Levina & T. Egorova. Saint Petersburg: Universitetskaya kniga, 556 pp. (In Russian).
4. Weber, M. & Zhizn' I., (2007) tvorchestvo MaksaWebera [Max Weber: Biography]. trans. byM. Levina. Moscow: ROSSPEN, 656 pp. (In Russian).
5. https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/SGPE-03-2022-0028/full/html
6. https://docenhance.eu/wordpress/wp-content/uploads/2021/12/DocEnhance-D1.2_Report-on-career-tracking-of-PhD-graduates.pdf
7. https://monoskop.org/images/4/4f/Pierre_Bourdieu_Homo_Academicus_1988.pdf
8. F. Nietzsche, (2021), fun science, M; aZBUKA, 45.
9. Eksmo, M., (2021), Science for those who want to be ahead of everything, 109.
10. Kaku, M., (2014) The future of the mind, Ocavio, USA.
11. Bainemi,U.A., (2022) brief history of science Tbilisi, Bakur sulakauri publishing house. (in Georgian)
12. Harary, E.N.,(2018), twenti-one lessons for the twenti-first centure. USA.

UDC 001
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-4-48-62

Max Weber's "Science as a Vocation" and some aspects of aducational management

Merab Mikelashvili Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: m.mikelashvili@gtu.ge

Reviewers:
N. Chikviladze, Associate Professor, faculty ofBusiness Technology, GTU
E-mail: n.chikviladze@gtu.ge
I. Iashvili, Professor, Faculty of Business Technologies,GTU
E-mail: i.iashvili@gtu.ge

Abstract. This article analyzes Max Weber's work "Science as a Vocation", which is actual even today and not just because of the fact that it analyzes scientific learnings and social dynamics of international scientific unity. This work takes us to scientific knowledge legacy and the lack of progress in science. When Weber discusses science, as a calling and a profession, he sees science through its cultural-historical angle. He tries to show us that the inner motivation of a scientist is always a professional calling. This idea is still relevant in modern times. Almost after a century, Weber's heritage gives us a chance to reanalyze topics in new ways, ways that are connected to a human's intellectual being. Therefore, some aspects of modern educational management need to be analyzed in a new way.

Keywords: Calling; Profession; Science; Vocation; Weber.

განხილვის თარიღი 02.04.2024
შემოსვლის თარიღი 23.05.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.12.2024